

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №154/ნ

2011 წლის 15 სექტემბერი

ქ. თბილისი

სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესი და პირობები“.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის და აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის სახელმწიფო სასწავლო გრანტის გადატანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 26 ოქტომბრის №913 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშვინი

დანართი

სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სახელმწიფო სასწავლო გრანტით ფინანსდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში – დაწესებულება) ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამით ან/და მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა.

2. სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით ფინანსდება მაგისტრატურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლა .

3. ეს წესი ადგენს სტუდენტისათვის/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის, დაწესებულებებს შორის მობილობის საფუძველზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა (გარდა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირზე გაცემული სახელმწიფო სასწავლო გრანტისა) და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანისა და სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობის გაზრდის შემთხვევაში მასზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის წესსა და პირობებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 31 აგვისტოს ბრძანება № 107/ნ - ვებგვერდი, 01.09.2016წ.

მუხლი 2. სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის საფუძველი

1. სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს ან რეზიდენტს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხა დაწესებულებაში და სწავლობს ამ წესის პირველი მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამით .



2. უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტი და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. სახელმწიფო სასწავლო გრანტით ფინანსდება:

ა) ბაკალავრიატში სწავლა 4 წლის განმავლობაში (იმ შემთხვევაში, როდესაც ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად ისწავლება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, – 5 წლის განმავლობაში);

ბ) დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა არა უმეტეს 6 წლის განმავლობაში (იმ შემთხვევაში, როდესაც დიპლომირებული მედიკოსის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად ისწავლება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, – 7 წლის განმავლობაში);

გ) დიპლომირებული სტომატოლოგის 300-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა არა უმეტეს 5 წლის განმავლობაში (იმ შემთხვევაში, როდესაც დიპლომირებული სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად ისწავლება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, – 6 წლის განმავლობაში);

დ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა არა უმეტეს 1 წლის განმავლობაში.

4. სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით ფინანსდება მაგისტრატურაში სწავლა 2 წლის განმავლობაში.

5. დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლების მქონე პირი კარგავს სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლებას, თუ დაწესებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მის მიმართ არ გამოსცემს ჩარიცხვის დამადასტურებელ დოკუმენტს.

მუხლი 3. სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის წესი

1. სტუდენტზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გაიცემა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული (შემდგომში – სრული გრანტი) ან ნაწილობრივი ოდენობა (შემდგომში – ნაწილობრივი გრანტი).

1¹. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირზე სახელმწიფო სასწავლო გრანტი გაიცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არაუმეტეს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობისა.

2. მაგისტრანტზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გაიცემა საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული გრანტის ოდენობით.

3. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ სახელოვნებო-შემოქმედებით ან სასპორტო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ სტუდენტზე, რომელიც მოიპოვებს დაფინანსებას ამ დაწესებულების მკონტროლებელი ორგანოსათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან და სახელმწიფო სასწავლო გრანტს ან სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტს, გაცემული თანხა არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო სასწავლო გრანტის ან სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მაქსიმალურ ოდენობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 31 აგვისტოს ბრძანება № 107/ბ - ვებგვერდი, 01.09.2016წ.

მუხლი 4. სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლების შეზღუდვა

1. დაუშვებელია ერთსა და იმავე პირისათვის სწავლის თითოეულ საფეხურზე ერთზე მეტი სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემა. მაგისტრანტი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსდება მხოლოდ ერთხელ, ერთი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების, მათ შორის, პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების მიხედვით.

1¹. დაუშვებელია ერთსა და იმავე პირისათვის ერთზე მეტი სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მიზნით.

2. პირის მიერ ერთდროულად უმაღლესი განათლების ერთ საფეხურზე რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში, მასზე გაიცემა მხოლოდ ერთი სახელმწიფო სასწავლო გრანტი ან სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი ამ წესით დადგენილი პირობებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ზღუდავს სტუდენტს, რომელმაც მოიპოვა ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტი, მოპოვებული ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრულ ოდენობამდე შევსების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს დაფინანსება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სოციალური პროგრამის ფარგლებში.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტი ასევე არ ზღუდავს სტუდენტს, გაზარდოს მოპოვებული ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საგრანტო კონკურსის (შემდგომში – საგრანტო კონკურსი) საშუალებით.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტი არ ზღუდავს სტუდენტს, რომელმაც სახელმწიფო სასწავლო გრანტი მოიპოვა დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოიპოვოს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი .



6. ამ მუხლის 1 პუნქტი არ ზღუდავს პირს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მიზნით მოიპოვოს სახელმწიფო სასწავლო გრანტი/გაზარდოს მოპოვებული ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტი ან მოიპოვოს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 ნოემბრის ბრძანება № 174/5 - ვებგვერდი, 12.11.2013წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 31 აგვისტოს ბრძანება № 107/5 - ვებგვერდი, 01.09.2016წ.

მუხლი 5. სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის დრო და დაწესებულების მიერ წარსადგენი ინფორმაცია

1. დაწესებულებას გადაერიცხება იმ ოდენობის თანხა, რომელიც შეესაბამება ამ დაწესებულების სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მქონე სტუდენტთა/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა საერთო რაოდენობასა და მათ მიერ მოპოვებული გრანტების ოდენობებს.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის გადარიცხვას ახორციელებს შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, პირველი ნოემბრის (სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის შემთხვევაში – 15 ნოემბრის) და პირველი აპრილისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის (შემდგომში – რეესტრი) მონაცემებისა და ამ მუხლის 2² პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შესაბამისად.

2¹. სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადარიცხვის მიზნით, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმით და ამავე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარადგენს თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გადასარიცხი თანხის ოდენობას.

2². სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გადასარიცხ თანხას ანგარიშობს ამ წესის შესაბამისად, შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

ა) სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი, სტუდენტის სტატუსი, სტუდენტის თავდაპირველი ჩარიცხვის წელი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რეჟიმი (აკრედიტებული/არაკრედიტებული) – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პირველი ნოემბრის (სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის შემთხვევაში – 15 ნოემბრის) და პირველი აპრილისთვის რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, ცალ-ცალკე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით, მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად;

ბ) სტუდენტის სწავლის საფასური – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად;

გ) აბიტურიენტის/სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის/სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის პროცენტი, გრანტის მოპოვების/გამოუჯობების წელი და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის საფასური – სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრის მიერ მიწოდებული აბსოლუტური ქულებით აბიტურიენტთა რანჟირების დოკუმენტის შესაბამისად;

დ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტის ოდენობა და უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მინიჭება – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად;

ე) სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მფლობელ სტუდენტზე გრანტის გადარიცხვის ჯერადობა, თითოეული გადარიცხვის შესაბამისად გადარიცხული თანხის ოდენობა, გრანტის დაკარგვის/გრანტის ამოწურვის შესახებ ინფორმაცია.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სტუდენტების/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა რაოდენობაში არ შედიან ის პირები, რომელთაც შესაბამისი წლის პირველი ნოემბრის (სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის შემთხვევაში – 15 ნოემბრის) და პირველი აპრილისთვის შეჩერებული აქვთ სტუდენტის სტატუსი/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსი.

4. დაწესებულების მიერ რეესტრში სტუდენტის/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის შესახებ ინფორმაციის შეუტანლობა არის დაწესებულებისათვის შესაბამისი სტუდენტის/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადარიცხვის შეჩერების საფუძველი.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საფუძველით სახელმწიფო სასწავლო გრანტის ან სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადარიცხვის შეჩერების ან სახელმწიფო სასწავლო გრანტის ან სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში დაწესებულება არ არის უფლებამოსილი, მოსთხოვოს სტუდენტს/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს გადაურიცხავი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ან სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო



გრანტის ოდენობის შესაბამისი თანხის ან/და მისგან გამომდინარე სხვა გადასახდელების (პროცენტი, ჯარიმა და ა.შ) გადახდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 29 მაისის ბრძანება № 57/6 - ვებგვერდი, 31.05.2013წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 31 აგვისტოს ბრძანება № 107/6 - ვებგვერდი, 01.09.2016წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 26 დეკემბრის ბრძანება №2046 - ვებგვერდი, 26.12.2017წ.

მუხლი 6. სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანა

1. საქართველოში მობილობის განხორციელების შემთხვევაში სტუდენტს სახელმწიფო სასწავლო გრანტი /სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი შეუძლია გადაიტანოს შესაბამისი სასწავლო წლის პირველი ნოემბრიდან/15 ნოემბრიდან , ან პირველი აპრილიდან, ჩარიცხვის ბრძანების თარიღის შესაბამისად ამ წესის მე-7 მუხლის გათვალისწინებით .

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სტუდენტს მიმღებ დაწესებულებაში სახელმწიფო სასწავლო გრანტი და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გადაყვება მის მიერ თავდაპირველად ჩარიცხვის დაწესებულებაში სწავლის დასაფინანსებლად მოპოვებული ოდენობით. თუ მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის საფასური ნაკლებია სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის ოდენობაზე, სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის ოდენობა უტოლდება ამ საგანმანათლებლო პროგრამის საფასურს. ყოველი შემდგომი მობილობისას, სტუდენტს მიმღებ დაწესებულებაში სახელმწიფო სასწავლო გრანტი და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გადაყვება წინა დაწესებულებაში არსებული სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის ოდენობით.

3. თუ საქართველოში მობილობის განხორციელებისას, სტუდენტი სწავლას აგრძელებს თავდაპირველი დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამისგან განსხვავებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა დაფინანსდება თავდაპირველი დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დაფინანსებისათვის დარჩენილი წლების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამისათვის ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებ ით გათვალისწინებული წლების განმავლობაში.

მუხლი 7. სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის დაუშვებლობა

1. დაუშვებელია სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანა დაწესებულების არააკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

1¹. დაუშვებელია ნაწილობრივი გრანტის ან/და სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გადატანა იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც სტუდენტის მიერ ნაწილობრივი გრანტის ან/და სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების წელს ფინანსდებოდა მხოლოდ სრული გრანტით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტი მოპოვებულია იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც სტუდენტის მიერ სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების წელს ფინანსდებოდა მხოლოდ სრული გრანტით.

1². თუ სტუდენტი ამ წესის მე-7 მუხლის 1¹ პუნქტის საფუძველზე ვერ გადაიტანს ნაწილობრივ ან/და სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებულ სახელმწიფო სასწავლო გრანტს და შემდგომ კანონმდებლობით დადგენილი წესით სწავლას განაგრძობს იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც სტუდენტის მიერ ნაწილობრივი გრანტის ან/და სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების წელს ფინანსდებოდა როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი გრანტით, სტუდენტი მის მიერ მოპოვებულ ნაწილობრივ გრანტს ან/და სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებულ სახელმწიფო სასწავლო გრანტს გამოიყენებს ამ საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად, სწავლის დაფინანსებისთვის დარჩენილი წლების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს მიმღები დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამისთვის ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წლების განმავლობაში.

1³. დაუშვებელია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გადატანა.

2. სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანა შესაძლებელია მხოლოდ იმავე საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე ან პრიორიტეტულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 21 თებერვლის ბრძანება №50/6 - ვებგვერდი, 23.02.2012წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №204/6 - ვებგვერდი, 16.02.2013წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 28 მარტის ბრძანება №40/6 - ვებგვერდი, 01.04.2014წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 აპრილის ბრძანება №30/6 - ვებგვერდი, 03.04.2015წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 31 აგვისტოს ბრძანება № 107/6 - ვებგვერდი, 01.09.2016წ.

მუხლი 8. სტუდენტისათვის/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული



პირისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის შენარჩუნების წესი

1. სტუდენტის/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტს/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლება უნარჩუნდება სტუდენტის/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტიდან/შეჩერებიდან მომდევნო ხუთი სასწავლო წლის ვადაში სწავლის განახლების შემთხვევაში, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.

2. სტუდენტს/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს, რომლისთვისაც სტუდენტის/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერების საფუძველს წარმოადგენს უცხო ქვეყნის დაწესებულებაში ჩარიცხვა/სწავლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომლის დროსაც შეუძლებელია სტუდენტის/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ სწავლის გაგრძელება, მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლება უნარჩუნდება შესაბამისი საფუძვლის არსებობის ვადით.

3. თუ სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მფლობელ სტუდენტს შეუწყდა/შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი და შემდეგ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სწავლა განაგრძო იმავე ან სხვა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაზე, სტუდენტი მის მიერ თავდაპირველად მოპოვებულ სახელმწიფო სასწავლო გრანტსა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტს გამოიყენებს ამ საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად. ამ შემთხვევაში სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის ოდენობა განისაზღვრება ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად და მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

4. თუ სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს შეუწყდა/შეუჩერდა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსი და შემდეგ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სწავლა განაგრძო იმავე ან სხვა დაწესებულების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი მის მიერ თავდაპირველად მოპოვებულ სახელმწიფო სასწავლო გრანტს გამოიყენებს ამ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასაფინანსებლად. ამ შემთხვევაში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობა განისაზღვრება ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით.

5. სტუდენტის/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების და აღდგენის/განახლების შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს რეესტრში და მიეწოდოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. სტუდენტის/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების, ასევე სტუდენტის/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის აღდგენის/განახლების შესახებ ინფორმაციის წარდგენის ფორმა მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 31 აგვისტოს ბრძანება № 107/ბ - ვებგვერდი, 01.09.2016წ.

მუხლი 9. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება

1. სტუდენტი, რომელმაც ვერ მოიპოვა სრული ან ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტი, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საგრანტო კონკურსში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. საგრანტო კონკურსის შედეგად მოპოვებული ან გაზრდილი ოდენობის სახელმწიფო სასწავლო გრანტით შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა ფინანსდება ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წლების ფარგლებში სწავლის დარჩენილი დროის განმავლობაში.

მუხლი 10. დაწესებულებისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადარიცხული თანხის შენარჩუნება

1. სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მფლობელი სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, დაწესებულებას უნარჩუნდება შესაბამისი სტუდენტის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის ოდენობა შემდეგი წესით:

ა) პირველ ნოემბრამდე (სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის შემთხვევაში – 15 ნოემბრამდე), თუ პირს სტუდენტის სტატუსი შეუწყდა/შეუჩერდა პირველი აპრილის შემდგომ;

ბ) პირველ აპრილამდე, თუ პირს სტუდენტის სტატუსი შეუწყდა/შეუჩერდა პირველი ნოემბრის (სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის შემთხვევაში – 15 ნოემბრის) შემდგომ.

2. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე



ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში, დაწესებულებას უნარჩუნდება შესაბამისი პირის მიერ მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობა შემდეგი წესით:

ა) პირველ ნოემბრამდე, თუ პირს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსი შეუჩერდა/შეუწყდა პირველი აპრილის შემდგომ;

ბ) პირველ აპრილამდე, თუ პირს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსი შეუჩერდა/შეუწყდა პირველი ნოემბრის შემდგომ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 31 აგვისტოს ბრძანება № 107/ 6 - ვებგვერდი, 01.09.2016წ.

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები

1. სახელმწიფო სასწავლო გრანტით ფინანსდება დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა, დაწესებულების მიერ დადგენილი კრედიტების შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს სწავლის 2 წლის განმავლობაში 120-კრედიტიანი და სწავლის 3 წლის განმავლობაში 180-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის.

2. სახელმწიფო სასწავლო გრანტით დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დაფინანსება ხდება ამ წესით დადგენილი პირობებით.

3. დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის მიერ „ უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89 -ე მუხლის 17² პუნქტის შესაბამისად ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შემთხვევაში, სტუდენტის ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა დაფინანსდება ამ წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსებული წლების გამოკლებით.

4. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის 8⁵ პუნქტიდან გამომდინარე, დიპლომირებული ვეტერინარის 300-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა სახელმწიფო სასწავლო გრანტით ფინანსდება არა უმეტეს 5 წლის განმავლობაში (იმ შემთხვევაში, როდესაც დიპლომირებული ვეტერინარის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად ისწავლება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, – 6 წლის განმავლობაში).

5. დიპლომირებული ვეტერინარი, რომელსაც მოპოვებული აქვს სახელმწიფო სასწავლო გრანტი, უფლებამოსილია მოიპოვოს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი.

6. იმ სტუდენტებს, რომლებმაც ისარგებლეს მობილობის უფლებით „სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის №154/6 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 16 დეკემბრის N204/6 ბრძანების ამოქმედებამდე, მიეცეთ სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების უფლება.

7. იმ სტუდენტებს, რომელთაც სოციალური პროგრამის ფარგლებში შეეცსოთ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობა სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრულ ოდენობამდე და ისარგებლეს მობილობის უფლებით „სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის №154/6 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 16 დეკემბრის №204/6 ბრძანების ამოქმედებამდე, მიეცეთ სრულ ოდენობამდე შევსებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების უფლება.

8. სტუდენტებს, რომლებმაც სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტი მოიპოვეს იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც სტუდენტის მიერ სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების წელს ფინანსდებოდა მხოლოდ სრული გრანტით და „სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის № 154/6 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 16 დეკემბრის №204/6 ბრძანების ამოქმედებიდან „ სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადატანის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის №154/6 ბრძანებაში



ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 28 მარტის № 40/ნ ბრძანების ამოქმედებამდე განხორციელებული მობილობის საფუძველზე სწავლა განაგრძეს იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც სტუდენტის მიერ სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების წელს ფინანსდებოდა მხოლოდ სრული გრანტით, მიეცეთ სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გადატანის უფლება.

9. 2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებგავლილ იმ სტუდენტებს, რომლებმაც გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ჩაირიცხნენ ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე და ვერ მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტი ან მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობა და 2012 წლის საშემოდგომო ან 2013 წლის საგაზაფხულო გაწვევისას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში თორმეტი თვის ვადით სამხედრო სავალდებულო სამსახურის საკუთარი სურვილით გავლის საფუძველზე მიენიჭათ სრული ოდენობის სახელმწიფო სასწავლო გრანტი ან სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნაწილობრივი ოდენობა შეეცესოთ სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრულ ოდენობამდე, მიეცეთ სრული ოდენობის სახელმწიფო სასწავლო გრანტის ან სრულ ოდენობამდე შევსებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გადატანის უფლება ნებისმიერ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე.

10. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის სამმართველო უზრუნველყოფს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან 2017 წლის 1 აპრილის ჩათვლით სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მფლობელ სტუდენტზე გრანტის გადარიცხვის ჯერადობის, თითოეული გადარიცხვის შესაბამისად გადარიცხული თანხის ოდენობის, გრანტის დაკარგვის/გრანტის ამოწურვის შესახებ არსებული ინფორმაციის სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის გადაცემას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 2 აპრილის ბრძანება №30/ნ - ვებგვერდი, 03.04.2015წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის ბრძანება №63/ნ - ვებგვერდი, 26.06.2015წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №123/ნ - ვებგვერდი, 25.09.2015წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 26 დეკემბრის ბრძანება №2045 - ვებგვერდი, 26.12.2017წ.

